


# დღეს პეტრე–პავლობაა



მართლმადიდებელი სამყარო დღეს წმინდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს ხსენების დღეს აღნიშნავს. პეტრე-პავლობის დღესასწაულს წინ ოთხკვირიანი პეტრე-პავლობის მარხვა უძღოდა.

ქრისტეს მოწაფეთა – მოციქულთა შორის მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებულ პატივს წმინდა პეტრე და წმინდა პავლე მოციქულებს მიაგებს. მათ თავმოციქულები ეწოდებათ.

წმ. პეტრე მოციქული წმ. ანდრია პირველწოდებულის უფროსი ძმა იყო. უფლის ხმოვანდღე ისინი გადიდების ტბასთან მდებარე პატარა ქარაქ ბეთსაიდის მეთევზეები იყვნენ. პეტრეს სახედად ადრე სვიმონი ეწოდებოდა. მისი რწმენის გამო უფარმა მას პეტრე უწოდა, რაც კდღეს ნიშნავს. წმ. პეტრე მოციქული ჭვარბე აღესრულა. მისი სურვილით იგი თავდაყირა დაკიდეს, რათა ჭვარბე ისე არ ყოფილიყო გაკრული, როგორც ქრისტე.

წმ. პავლე მოციქული წარმოშობით ბენიამენიდან იყო. მოციქულებრივ მსახურებამდგე მას სავლე ერქვა. იგი მღვდელმთავართა დავალებით მართლმადიდებლებს სდევნიდა. ღვთის განგებით იგი უეცრად დროებით დაბრმავდა, რომლის დროსაც ღმერთმა მას თავისკენ მოუწოდა. წმინდა მოციქულმა სიცოცხლე თავისკვეთით დაასრულა.

წმ. თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახედზე, პირველი ტაძრები რომსა და კონსტანტინეპოლში IV საუკუნეში წმინდა მოციქულთასწორმა კონსტანტინე დიდმა აღმართა.